

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან
ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება:

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. შემოსავალი	20
5. პირდაპირი ხარჯები	20
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
7. სხვა ხარჯები	21
8. ფინანსური ხარჯები	21
9. ძირითადი საშუალებები	22
10. ინვესტიციები	23
11. მარაგები	24
12. გაცემული სესხები	24
13. გადახდილი ავანსები	24
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
16. მიღებული სესხები	26
17. მიღებული ავანსები	26
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	27
20. პირობითი აქტივები და ვალდებულებები	31
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ფერის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **შპს ფერის** (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც 2-ე შენიშვნაშია განმარტებული, შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის ნაწილში, 2017 წლის 16 მაისს შპს ფერმა დაკარგა კონტროლი სს ონი კასკადზე და აღრიცხა ეს ინსვესტიცია წილობრივი მეთოდით ფასს 11-ის („ერთობლივი საქმიანობა“) შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები სისრულეზე, არსებობასა და სიზუსტეზე სს ონის კასკადის საქმიანობის შედეგებზე, რომელიც წარდგენილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რაიმე სახის კორექტირების საჭიროება ფინანსურ ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განხრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის

დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის შედეგებზე, ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივნისი, 2018 წელი

შპს ფერი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	4	71,281	78,070
პირდაპირი ხარჯები	5	(50,674)	(49,919)
საერთო მოგება		20,607	28,151
სხვა შემოსავალი		794	869
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,880)	(1,993)
სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები		(1,637)	(1,566)
სხვა ხარჯები	7	(5,496)	(3,148)
მოთხოვნების და გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვი	13	(355)	(253)
საოპერაციო მოგება		11,033	22,060
საპროცენტო შემოსავლები		180	319
საპროცენტო ხარჯები	8	(2,959)	(432)
მოგება შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვიდან	10	299	-
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების მოგების (ზარალის) წილი, ნეტო	10	6,641	(8,965)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		(361)	2,796
მოგება დაბეგვრამდე		14,833	15,778
მოგების გადასახადი		(285)	(676)
მთლიანი სრული შემოსავალი		14,548	15,102

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 15 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი _____ კახაბერ შევარდნაძე

10 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	39,522	32,848
არამატერიალური აქტივები		220	213
ინვესტიციები	10	20,732	10,148
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	18,090	1,931
		78,564	45,140
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	11,110	7,852
გაცემული სესხები	12	2,471	2,871
გაცემული ავანსები	13	26,907	5,413
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	17,177	30,160
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	3,692	863
		61,357	47,159
სულ აქტივები		139,921	92,299
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გაუნაწილებელი მოგება		77,869	70,167
		77,871	70,169
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	-	776
მიღებული ავანსები	17	-	7,299
		-	8,075
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	4,704	5,742
მიღებული ავანსები	17	34,019	1,425
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	23,327	6,730
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		-	158
		62,050	14,055
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		139,921	92,299

შპს ფერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2	58,061	58,063
მფლობელებზე განაწილება დივიდენდები	-	(2,996)	(2,996)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	15,102	15,102
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2	70,167	70,169
მფლობელებზე განაწილება დივიდენდები	-	(6,846)	(6,846)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	14,548	14,548
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2	77,869	77,871

შპს ფერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას ლარებში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		14,833	15,778
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,841	3,706
საპროცენტო ხარჯი, ნეტო		2,779	113
მოთხოვნების და გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	14	355	253
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების (მოგების) ზარალების წილი, ნეტო	10	(6,641)	8,965
მოგება საწყის აღიარების დროს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალური ღირებულებით აღრიცხვიდან წმინდა ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		(258)	(69)
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან		(238)	(181)
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან		361	(2,796)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე შემცირება/ (ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		15,032	25,769
მარაგები		(3,000)	(437)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(6,325)	(25,186)
გაცემული ავანსები		(22,123)	1,593
ზრდა/ (შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:			-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		13,215	2,820
მიღებული ავანსები		25,273	(5,260)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(158)	(65)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		21,914	(766)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(2,141)
გადახდილი პროცენტი		(597)	(340)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		21,317	(3,247)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(6,941)	(5,213)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		239	181
ინვესტიციების (ზრდა)/ შემცირება	10	(3,943)	291
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შემცირება		-	2,395
მიღებული პროცენტები		-	62
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(10,645)	(2,284)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
აღებული სესხები		11,494	5,828
გადახდილი სესხები		(13,315)	(2,967)
გაცემული სესხების ზრდა		525	108
გადახდილი დივიდენდები		(6,846)	(2,996)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(8,142)	(27)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (შემცირება)		2,530	(5,558)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	15	863	6,614
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		299	(193)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	15	3,692	863

10 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფერი (შემდეგში კომპანია) დაარსდა 1991 წლის, დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1996 წლის 23 აგვისტოს თბილისში, საქართველოში და ოპერირებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საიდენტიფიკაციო კოდით: 211352187.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დაპროექტება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით, რომელშიც შედის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გვირაბების, გზების და სხვა მშენებლობები. ასევე ჰიდროელექტროსადგურების მონტაჟი და ოპერირება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჩაჩავას ქუჩა #8, თბილისი, საქართველო.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობენ შემდეგი მეწილეები:

	2017	2016
იოსებ მჭედლიშვილი	96%	96%
კახაბერ შევარდნაძე	4%	4%
	100%	100%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები დამრგვალებულია ათასებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელებსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელებს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალ სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს მომავალში გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფას 9 ფინანსური ინსტრუმენტები**

ფას 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფას 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფას 9 იწარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფას 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფას 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. ფას 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფას 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა.

ფას 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფას 15, „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ფას 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” და სარგებელი კლიენტს გადაეცემა. ძალაში შესვლის შემდეგ ფას 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

ფას 16 იჯარა

ფას 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 -ლიზინგი, IFRIC 4 - განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხვავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფას 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფას 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია არის ახალი სტანდარტების, ფასს 15-ის, ფასს 16-ისა და ფასს 9-ის გავლენის შეფასების პროცესში, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ სრულ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შვილობილზე კონტროლის დაკარგვა

თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, იგი: ა) წყვეტს ყოფილი შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში; ბ) ყოფილ შვილობილ საწარმოში დარჩენილ ინვესტიციას აღიარებს კონტროლის დაკარგვის თარიღისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით და შემდგომში ამ ინვესტიციას და ასევე ყოფილი შვილობილი საწარმოდან მისაღებ, ან მისთვის გადასახდელი ნებისმიერი დავალიანების თანხას ასახავს სხვა შესაფერისი სტანდარტების შესაბამისად. ზემოაღნიშნული რეალური ღირებულება მიიჩნევა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ რეალურ ღირებულებად, ან როდესაც შესაფერისია, თვითღირებულებად, მეკავშირე საწარმოში, ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის საწყისი აღიარებისას; გ) აღიარებს კონტროლის დაკარგვასთან დაკავშირებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც მისაკუთვნებელია ყოფილ მაკონტროლებელ წილზე.

2017 წლის 16 მაისს გაფორმებული „აქციონერთა ხელშეკრულების“ შესაბამისად სს ონი კასკადმა გამოუშვა დამატებითი აქციები შპს ონი ჰოლდინგისთვის. ხელშეკრულების თანახმად, შპს ფერმა დაკარგა კონტროლი სს ონი კასკადზე და ინვესტიცია აღიარა წილობრივი მეთოდით ფასს 11-ის მოთხოვნების შესაბამისად (ერთობლივი საქმიანობა). შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც შესაძარისი ინფორმაცია.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ერთობლივი საქმიანობა

ერთობლივი კონტროლი ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლებაა ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

კომპანია თავის წილს ერთობლივ საქმიანობაში აკლასიფიცირებს როგორც:

- ერთობლივი საწარმო: სადაც კომპანიას გააჩნია ერთობლივი კონტროლი საქმიანობაზე, აქვს უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.
- ერთობლივი ოპერაცია: სადაც კომპანია რომელიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებს საქმიანობაზე, გააჩნია ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

ერთობლივი საქმიანობის კლასიფიცირებისთვის კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს:

- ერთობლივი საქმიანობის სტრუქტურა;
- განცალკევებული სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- სახელშეკრულებო შეთანხმების პირობები;
- თუ აუცილებელია, სხვა ფაქტორები და გარემოებები.

კომპანია ერთობლივ საქმიანობაში წილს აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივ მეთოდს კომპანია იყენებს იმავე პრინციპით როგორც ეს ასოცირებული კომპანიის შემთხვევაში ხდება.

თუ არის საფუძვლიანი რწმუნება რომ ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში არის გაუფასურებული, მაშინ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე იტესტება ისევე როგორც ეს ხდება არაფინანსური აქტივების შემთხვევაში (გარდა მარაგებისა).

ასოცირებული საწარმო

სადაც კომპანიას აქვს გავლენა (და არა კონტროლი), საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში, კლასიფიცირდება როგორც ასოცირებული საწარმო, რომელიც საწყისი აღიარებისას წარდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თვითღირებულებით.

კომპანია ერთობლივ საქმიანობაში წილს აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. ამგვარ ცვლილებებს იწვევს ძირითადი საშუალებების გადაფასება და უცხოურ ვალუტაში მუხლების გადანაგარიშების შედეგად წარმოქმნილი განსხვავებები.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით, იმის მიხედვით თუ რა მიზნით არის შეძენილი ესა თუ ის აქტივი. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გადაცვლადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. რეზერვის ზარალის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურება გამოითვლება აქტივების რისკებთან დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე და ასახავს ოდენობას, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით საკმარისია გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგების გადასაფარად. ფინანსური აქტივები რომელთა ინდივიდუალური გაუფასურების შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად და იმის გარსაკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეს ჯგუფზე. ამ ანალიზის საფუძველზე იქმნება რეზერვები. ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე კოლექტიურად შესაფასებლად მათი დაჯგუფება ხდება საკრედიტო რისკებისადმი მსგავსი მახასიათებლების მიხედვით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას (მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით პირდაპირ ან

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესაბამისი გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. გაუფასურების შეზღუდვის თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესამჩნევი ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივის
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა ძირითადი საშუალება და არამატერიალური აქტივი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში. ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მიწა არ იცვითება. კომპანია იყენებს ცვეთის/ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის, გარდა გვირაბის საბურღი მანქანებისა.

ჯგუფი**სასარგებლო მომსახურების
ვადები (წლები)**

ტექნიკური აღჭურვილობა	3_22
ჰიდროტექნიკური ნაგებობები	25
დანადგარები	2_23
ავტომობილები	3_15
შენობები და ნაგებობები	4_25
ვენახი	25
სხვა	5_7

გვირაბის საბურღი მანქანები იცვითება გათხრილი მანძილის მიხედვით (30 კმ მოცულობის), შემდეგი შემცირებადი განაკვეთებით:

ფაქტიურად გათხრილი მანძილი	პირველი 10 კმ	მეორე 10 კმ	საბოლოო 10 კმ
ცვეთის შემცირებადი განაკვეთი	1.5	1	0.5

გვირაბის საბურღი მანქანების მოცდენის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ეს აქტივები განიცდიან ფიზიკური ცვეთას და ტექნიკური მოძველებას, შესაბამისად აქტივი იცვითება წრფივი დარიცხვის მეთოდით.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, რესტროსპექტულად.

ის ძირითადი საშუალებები, რომლებსაც ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა აქვთ, აღირიცხება როგორც ცალკე ძირითადი საშუალება (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადაჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და წარდგება საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა/ამორტიზაცია დაზუსტდება მომავალ პერიოდებშიც, რათა გამოიყოს აქტივების მიმდინარე ღირებულება, დაკლებული ჯართად რეალიზაციის ღირებულება (არსებობის შემთხვევაში), სისტემატურად - აქტივის დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

კომპანიის მარაგებს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, ღვინო და სხვა. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი წარდგენა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველაწარმოადგენს. მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ბიოლოგიური აქტივები ფასდება ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. მარაგების თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

იჯარა

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადასახდელის ან გადასახდელების მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს ძირითადი საშუალებების გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. ფინანსური იჯარა ისეთი იჯარაა, რომელიც გულისხმობს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. აქედან გამომდინარე, მოიჯარე ფლობს ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და ფინანსური იჯარის ობიექტს აღიარებს საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით (რომელიც არსებითად არ განსხვავდება აქტივის რეალური ღირებულებისაგან).

ფინანსური იჯარის შემთხვევაში აღიარდება შესაბამისი ვალდებულება, რომელიც მომდევნო პერიოდებში მცირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით და ამგვარად კორექტირდება. იჯარის გამცემისთვის გადახდილი ოდენობა იყოფა საპროცენტო და ძირითადი თანხის ელემენტებად, ხოლო საპროცენტო ელემენტი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში როგორც სისტემატიური საპროცენტო გადასახადი იჯარის ნარჩენ ვალდებულებაზე.

ფინანსური იჯარის გარდა ყველა სხვა ტიპის იჯარა წარმოადგენს ჩვეულებრივ საოპერაციო იჯარას. ასეთ დროს საიჯარო გადასახდელები საიჯარო ვადის განმავლობაში ხარჯად უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდის მიხედვით.

სამშენებლო კონტრაქტები

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები უნდა აღიარდეს საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რაც განისაზღვრება აღნიშნული თარიღისათვის გაწეული საკონტრაქტო დანახარჯების მთლიან დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მეთოდი ვერ ასახავს შესრულებული სამუშაოების რეალურ ღირებულებას.

როდესაც მიმდინარე თარიღამდე გაწეულ საკონტრაქტო დანახარჯებს დამატებული აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა აჭარბებს მიღებულ თანხებს, ეს ნამეტი წარდგება, როგორც კლიენტებისგან მისაღები თანხები საკონტრაქტო სამუშაოებიდან. ისეთი კონტრაქტების შემთხვევაში, როდესაც მიღებული სახსრები აჭარბებს საკონტრაქტო დანახარჯებს დამატებული აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას - ნამეტი წარდგება, როგორც საკონტრაქტო სამუშაოებთან დაკავშირებული ვალდებულება კლიენტების მიმართ. შესრულებულ სამუშაოებზე კლიენტებისთვის გამოწერილი თანხები, რომელიც ჯერ არაა ანაზღაურებული წარდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც მოთხოვნები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. ეს კრიტერიუმი კმაყოფილდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა მყიდველს. როდესაც მყიდველს აქვს უკან დაბრუნების უფლება, მაშინ კომპანია არ აღიარებს შემოსავალს, სანამ უკან დაბრუნების უფლების გაუქმება მოხდება.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადი გადასახდელია როდესაც დივიდენდი გადის საწარმოდან მის მესაკუთრეებზე, რომლებიც შეიძლება იყვნენ ფიზიკური ან საქართველოს არარეზიდენტი პირები, რომლებზეც დივიდენდი ნაწილდება 15/85 ნეტო წესით. მოგების გადასახადი წარმოიქმნება იმ პერიოდში, რომელშიც საწარმო ადეკლარირებს შესაბამისი ხარჯისა და ვალდებულების წარმოქმნას, მიუხედავად იმისა რომელ პერიოდშია დივიდენდი გადახდილი. საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოექმნება რაიმე სახის საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება. საშემოსავლო გადასახადი კომპანიის მფლობელებზე დივიდენდის განაწილებისას აღიარებულ უნდა იქნას როგორც კაპიტალის შემცირება კაპიტალის მოძრაობის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ბეგრავს ტრანზაქციების, რომლებიც მოიაზრება მოგების განაწილებად. (მაგალითად: არასაბაზრო ფასად მიწოდება, საწარმოო საქმიანობასთან არადაკავშირებულ ხარჯებს და უსასყიდლოდ მიწოდებას). აღნიშნული ოპერაციების დაბეგვრა ხდება როგორც მოგების გადასახადი და მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში წარსდგება როგორც, საოპერაციო გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად 2016 წლის 1 იანვრიდან, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, აქციონერთა საერთო კრებაზე.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. პირობითი აქტივები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას (ან მოცულობის მიხედვით გვირგვინის საბურღი მანქანებისთვის). სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

4. შემოსავალი

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტები	59,851	63,954
ელექტროენერგიის რეალიზაცია	3,463	3,784
საოპერაციო იჯარა	6,126	7,702
სხვა	1,841	2,630
	71,281	78,070

სამშენებლო კონტრაქტები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც აღიარებულია შემოსავლად პერიოდში	59,851	63,954
ხელშეკრულების მიხედვით გაწეული ხარჯები	(47,213)	(43,620)
	12,638	20,334
კლიენტებისგან მიღებული თანხები სამშენებლო სამუშაოებისთვის	4,851	2,578
კლიენტებისთვის გადახდილი თანხები სამშენებლო სამუშაოებისთვის	16,900	-
მიღებული ავანსები	31,011	8,724

კომპანიას აქვს გრძელვადიანი მომსახურების კონტრაქტები დაკავშირებული დაპროექტებასთან, მშენებლობასთან და სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით, რომელიც მოიცავს ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გვირაბების, გზების მშენებლობებს, ასევე წყლის გაყვანილობის სისტემების მოდერნიზებას.

კომპანია განსაზღვრავს კონტრაქტის დასრულების ეტაპს. კომპანია იყენებს პროპორციულობის მეთოდს, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას შეფასებულ სახელშეკრულებო დანახარჯების თანხასთან.

5. პირდაპირი ხარჯები

	2017	2016
ნედლეული და მასალები	(19,063)	(21,045)
ხელფასები	(8,247)	(9,162)
იჯარა	(7,700)	(6,193)
მესამე მხარის მომსახურებები	(7,677)	(5,506)
საწვავი	(2,268)	(2,176)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,667)	(2,005)
სხვა	(4,052)	(3,832)
	(50,674)	(49,919)

პირდაპირი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არიან იმ ტიპის შემოსავლებთან, რომლებიც წარდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სამშენებლო კონტრაქტები	(47,213)	(43,620)
ელექტროენერგიის რეალიზაცია	(517)	(904)
საოპერაციო იჯარა	(2,702)	(4,536)
სხვა	(242)	(859)
	(50,674)	(49,919)

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი	(997)	(948)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(807)	(279)
ცვეთა და ამორტიზაცია	(260)	(159)
საოპერაციო იჯარა	(113)	(112)
მივლინებები	(112)	(56)
საწვავის ხარჯები	(64)	(76)
კომუნალურები	(62)	(53)
საბანკო ხარჯები	(58)	(34)
კომუნიკაციის ხარჯები	(17)	(24)
სხვა ხარჯები	(390)	(252)
	(2,880)	(1,993)

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია 21-ე შენიშვნაში.

7. სხვა ხარჯები

	2017	2016
მოცდენის ხარჯები*	(5,473)	(2,250)
გაყიდული ღვინის თვითღირებულება	-	(563)
სხვა	(23)	(335)
	(5,496)	(3,148)

* მოცდენის ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ასევე ცვეთას და ქონების გადასახადს იმ პირითადი საშუალებების რომლებიც უმოქმედოდ იყო წლის განმავლობაში.

8. ფინანსური ხარჯები

	2017	2016
ფინანსური შემოსავალი (შენიშვნა 14)	(2,358)	-
საპროცენტო ხარჯი	(601)	(432)
	(2,959)	(432)

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ტექნიკური აღჭურვილობა	გვირაბის საბურღი მანქანები	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	დანადგარები	ავტომობილები	მიწა	შენობები და ნაგებობები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	ვენახი	სხვა	სულ
2015 წლის 31 დეკემბერი	8,166	20,919	6,424	5,651	2,256	1,453	1,245	-	-	297	46,411
კლასიფიკაციის ცვლილება	1,557	-	-	1,542	279	146	1,361	231	-	97	5,213
შიდა გადაადგილება	550	-	-	(1,244)	694	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(14)	(26)	-	-	-	-	(2)	(42)
2016 წლის 31 დეკემბერი	10,273	20,919	6,424	5,935	3,203	1,599	2,606	231	-	392	51,582
შემოსვლა	1,678	3,546	-	1,426	1,474	357	737	786	513	439	10,956
გასვლა	-	-	(549)	(44)	(73)	-	(15)	-	-	(2)	(683)
2017 წლის 31 დეკემბერი	11,951	24,465	5,875	7,317	4,604	1,956	3,328	1,017	513	829	61,855
დაგროვილი ცვეთა											
2015 წლის 31 დეკემბერი	(5,413)	(6,525)	(846)	(1,266)	(882)	-	(178)	-	-	(123)	(15,233)
ცვეთა	(765)	(1,294)	(256)	(665)	(402)	-	(102)	-	-	(59)	(3,543)
კლასიფიკაციის ცვლილება	(424)	-	-	(37)	461	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	14	26	-	-	-	-	2	42
2016 წლის 31 დეკემბერი	(6,602)	(7,819)	(1,102)	(1,954)	(797)	-	(280)	-	-	(180)	(18,734)
ცვეთა	(822)	(1,294)	(236)	(774)	(455)	-	(162)	-	-	(85)	(3,828)
გასვლა	-	-	96	17	106	-	9	-	-	1	229
2017 წლის 31 დეკემბერი	(7,424)	(9,113)	(1,242)	(2,711)	(1,146)	-	(433)	-	-	(264)	(22,333)
წმინდა საბალანსო ღირებულება											
2016 წლის 31 დეკემბერი	3,671	13,100	5,322	3,981	2,406	1,599	2,326	231	-	212	32,848
2017 წლის 31 დეკემბერი	4,527	15,352	4,633	4,606	3,458	1,956	2,895	1,017	513	565	39,522

2017 წელს კომპანიამ შეისყიდა ახალი გვირაბის საბურღი მანქანა (TBM). კომპანია გეგმავს გამოიყენოს TBM მტკვარი ჰესის პროექტისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ძირითადი საშუალება, ჩადებული იყო სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში (შენიშვნა 16).

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

10. ინვესტიციები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიები რომლებიც აღრიცხულია წილობრივი მეთოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ასოცირებული		
შპს ენერგია *	30%	30%
ერთობლივად კონტროლირებადი		
სს დარიალი ენერჯი **	31.38%	30.07%
სს სუფსა ენერჯი	50%	40%
სს ონის კასკადი***	55%	-

კომპანიას და მის ასოცირებულ და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებს აქვთ იგივე საანგარიშგო პერიოდი. საკონტრაქტო შეთანხმებები უზრუნველყოფს კომპანიის უფლებებს ერთობლივი საწარმოების წმინდა აქტივებში, კომპანიას აქვს უფლებები ერთობლივი საწარმოების აქტივებში და ვალდებულებებში სს დარიალი ენერჯისთან, სს ონი კასკადთან და სს სუფსა ენერჯისთან ერთად.

* შპს ენერგიის ძირითადი საქმიანობა არის ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. საანგარიშგო პერიოდში კომპანია ოპერირებს ორ ჰესს, რომლებიც განლაგებულია საქართველოს რეგიონებში, რომელთა სიმძლავრე არის 24 მეგავატი.

**სს დარიალი ენერჯის ძირითადი საქმიანობა არის ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. ერთობლივი საწარმოს ძირითადი აქტივი არის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც იმყოფება ყაზბეგის რაიონში, საქართველო (დარიალი ჰესი). ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ნოემბერში და სს დარიალი ენერჯიმ დაიწყო ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა 2016 წლის ბოლოსთვის.

***სს ონი კასკადის ძირითადი საქმიანობა იქნება ელექტროენერგიის წარმოება. მისი ძირითადი აქტივი იქნება 177.2 მვტ მოცულობის და ყოველწლიური 788.6 გვტვ წარმოებული ელექტროენერგიის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც განლაგდება ონის რაიონში, საქართველო. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება 2019 წელს და დასრულდება 2023 წელს.

ინვესტიციების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2016	შენატანები	ინვესტიციის შემცირება	მოგების წილი	31 დეკემბერი 2017
სს დარიალი ენერჯი	8,013	3,755	-	3,612	15,380
შპს ენერგია	2,075	-	-	3,029	5,104
სს სუფსა ენერჯი	60	188	-	-	248
	10,148	3,943	-	6,641	20,732

	31 დეკემბერი 2015	შენატანები	ინვესტიციის შემცირება	მოგების (ზარალის) წილი	31 დეკემბერი 2016
სს დარიალი ენერჯი	17,067	-	-	(9,054)	8,013
შპს ენერგია	2,310	-	(369)	134	2,075
სს სუფსა ენერჯი	27	78	-	(45)	60
	19,404	78	(369)	(8,965)	10,148

სს დარიალი ენერჯის და შპს ენერგიის წილები ჩადებულია უზრუნველყოფაში ამავე კომპანიების მიერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) და სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

10. ინვესტიციები (გაგრძელება)

ასოცირებული და არსებითი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017		2016	
	სს დარიალი ენერჯი	შპს ენერგია	სს დარიალი ენერჯი	შპს ენერგია
აქტივები	261,841	87,714	265,858	82,826
ვალდებულებები	213,987	68,347	237,043	73,554
შემოსავლები	34,657	12,089	460	6,911
წლის მოგება (ზარალი)	11,512	10,095	(29,142)	431

11. მარაგები

	2017	2016
ნედლეული და მასალები	9,907	7,235
საწვავი	455	335
ღვინო	275	73
სხვა	473	209
	11,110	7,852

12. გაცემული სესხები

კომპანიამ სესხი გასცა შპს ენერგიაზე აშშ დოლარში. საპროცენტო განაკვეთი არის 13.6%. ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმდა 2017 წლის 31 დეკემბერს, სესხის დაბრუნების ვადა არის მოთხოვნამდე.

13. გადახდილი ავანსები

	2017	2016
საერთაშორისო მომწოდებლებთან	20,115	3,690
ადგილობრივი მომწოდებლებთან	1,617	1,751
სხვა გადახდილი ავანსები	159	413
გადასახადები	5,555	113
გაუფასურების რეზერვი	(539)	(554)
	26,907	5,413

2017 წლის ოქტომბერში კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება POMA S.A.S-თან, რომლის მიხედვითაც POMA S.A.S აქვს ვალდებულება შეასრულოს პროექტის "გუდაური-კობის საბაგიროს" დაპროექტება და სხვა სპეციფიური სერვისების შესრულება. ხელშეკრულების პირობების თანახმად, კომპანიამ წინასწარ გადაუხადა 15,959 ლარის ავანსი (საერთო ხელშეკრულების ღირებულების 30%) POMA S.A.S-ს, რომელიც შესრულებული მომსახურებით ჩაიხურება 2018 წლის განმავლობაში (შეფასებული პროექტის ხანგრძლივობა).

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
გრძელვადიანი		
სავაჭრო მოთხოვნები	18,090	1,931
მოკლევადიანი		
სავაჭრო მოთხოვნები	11,718	27,128
დამკვეთებისაგან მთლიანად მისაღები თანხა	4,851	2,578
სხვა მოთხოვნები	616	513
გაუფასურების რეზერვი	(8)	(59)
	17,177	30,160

2017 წლის ოქტომბერში კომპანიამ და დარიალი ჰესმა გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადც დარიალი ჰესი გადაუხდის შპს ფერს დავალიანებას 2019 წლის ივნისამდე. შედეგად სამშენებლო კონტრაქტის მოთხოვნა 17,090 ლარის მოცულობით მოკლევადიანი მოთხოვნებიდან რეკლასიფიცირებულ იქნა გრძელვადიან მოთხოვნად. რეალური ღირებულებით მოთხოვნის საწყისი აღიარებისას მიღებული ზარალი წარდგენილი იქნა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც ფინანსური ხარჯი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 8 ლარის და 59 ლარისა შესაბამისად, რომელიც ვადაგადაცილებულია და ინდივიდუალურად არის გაუფასურებული.

ცვლილებები მოთხოვნების და გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვში:

	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	(613)	(360)
ზრდა	(355)	(434)
შემცირება	-	181
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(355)	(253)

წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	421	-
ნაშთი წლის ბოლოს	(547)	(613)

სავაჭრო მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 19-ე შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული ბანკში	1,673	279
შეზღუდული ფული	2,019	584
	3,692	863

შეზღუდული ფული წარმოდგენს საგარანტიო თანხებს, როლებიც მოთხოვნილი იყო სამშენებლო კომპანიების/სააგენტოების მიერ, მათთან გაფორმებული სამშენებლო ხელშეკრულებების საფუძველზე.

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 19-ე შენიშვნაში.

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

16. მიღებული სესხები

	2017	2016
გრძელვადიანი		
ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები	-	776
მოკლევადიანი		
მფლობელი	-	602
ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტები	4,704	5,140
	4,704	5,742
სულ მიღებული სესხები	4,704	6,518

ყველა მიღებული სესხი არის ფიქსირებულ პროცენტში და განსაზღვრულია 8-დან 12%-მდე.

თიბისი ბანკის სესხის უზრუნველყოფაში ჩადებულია კომპანიის ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში (დეტალურად იხილეთ შენიშვნა 10) და იოსებ მჭედლიშვილისა და კახაბერ შევარდნაძის წილები შპს ფერში.

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 19-ე შენიშვნაში.

ფინანსური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შედარება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,518
ძირის გადახდა	(13,315)
პროცენტის გადახდა	(597)
საკურსო სხვაობების ეფექტი	3
საპროცენტო ხარჯი	601
სესხის აღება	11,494
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,704

17. მიღებული ავანსები

	2017	2016
გრძელვადიანი		
სამშენებლო კონტრაქტები	-	7,299
მოკლევადიანი		
სამშენებლო კონტრაქტები	31,011	1,425
სხვა მიღებული ავანსები	3,008	-
	34,019	1,425

2017 წლის ოქტომბერში კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის მიხედვითაც კომპანიას აქვს ვალდებულება ააშენოს "გუდაური-კობის საბაგირო". კომპანიამ კონტრაქტორისგან წინასწარ მიიღო ავანსი 25,340 ლარი (საერთო ხელშეკრულების ღირებულების 30%), რომელიც ჩაიხურება 2018 წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების შედეგად (შეფასებული პროექტის ხანგრძლივობა).

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
დამკვეთების სასარგებლოდ მთლიანი თანხა	16,900	-
ვალდებულებები მომწოდებლებთან	3,937	2,212
ვალდებულებები ქვეკონტრაქტორებთან	1,156	1,998
საოპერაციო იჯარის ვალდებულება	360	1601
სახელფასო ვალდებულებები	689	755
სხვა ვალდებულება	285	164
	23,327	6,730

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 19-ე შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- გაცემული სესხები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- ფული ბანკში
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
გაცემული სესხები	2,471	2,871
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,267	32,091
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,692	863
	41,430	35,825

კომპანია აკეთებს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისადმი მომავალი შესაძლო დანაკარგების შეფასებას. რეზერვის დათვლა ხდება ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული და გაუფასურებული 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 8 ლარის და 59 ლარისა, რომელიც ვადაგადაცილებულია და ინდივიდუალურად არის გაუფასურებული, შესაბამისად.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმის და მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	2,471	-	2,471
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,177	18,090	35,267
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,692	-	3,692
	23,340	18,090	41,430
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	4,704	-	4,704
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,327	-	23,327
	28,031	-	28,031
ლიკვიდურობის სხვაობა	(4,691)	18,090	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(4,691)	13,399	

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	2,871	-	2,871
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,160	1,931	32,091
ფული და ფულის ეკვივალენტები	863	-	863
	33,894	1,931	35,825
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	5,742	776	6,518
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,730	-	6,730
	12,472	776	13,248
ლიკვიდურობის სხვაობა	21,422	1,155	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	21,422	22,577	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	ჯამი
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	2,471	-	2,471
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34,172	95	1,000	35,267
ფული და ფულის ეკვივალენტები	822	851	2,019	3,692
	34,994	3,417	3,019	41,430
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,012	843	849	4,704
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,507	4,734	86	23,327
	21,519	5,577	935	28,031
დია საბალანსო პოზიცია	13,475	(2,160)	2,084	13,399

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	ჯამი
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	2,871	-	2,871
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,204	28,956	-	30,160
ფული და ფულის ეკვივალენტები	122	163	578	863
	1,326	31,990	578	33,894
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	390	4,320	1,808	6,518
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,701	1,629	400	6,730
	5,091	5,949	2,208	13,248
ღია საბალანსო პოზიცია	(3,765)	26,041	(1,630)	20,646

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	2017	2017	2016	2016
	+20%	-20%	+20%	-20%
სავალუტო რისკის მგრძნობელობა				
აშშ დოლარის ეფექტი	(432)	432	5,208	(5,208)
ევროს ეფექტი	417	(417)	(326)	326

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიზნულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, შედეგად კომპანიას არ აქვს საპროცენტო რისკი ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

20. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

შეთანხმება ერთობლივ საწარმოსთან

2017 წლის 16 მაისის გაფორმებული მფლობელების შეთანხმების ხელშეკრულების თანახმად, აქციონერები თანხმდებიან რომ შეთანხმების თარიღისთვის და შემდგომი 3 წლის განმავლობაში შპს ფერი აღიარებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შპს ონი ჰოლდინგს სხვაობა (დანაკლისი) იმ შემთხვევაში, თუ მის საკუთრებაში არსებული აქციების ნასყიდობის ფასი იქნება ინვესტორის დაგეგმილ გასვლის ღირებულებაზე ნაკლები, ასეთი სხვაობის (დანაკლისის) ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს შპს „ონი ჰოლდინგის“ (შემდეგში ინვესტორი) გარანტირებული ფასის შეზღუდული ღირებულებისა. იმავე მიზეზების გამო, შპს ფერი-ს შეუძლია ინვესტორს ანაზღაურებადი თანხა მიაწოდოს მხოლოდ შემდეგი გზებით 1. ისეთი დივიდენდების გაცემით, რომელიც ინვესტორს ეკუთვნის კომპანიისგან, 2. ნებისმიერი მოგება (ზარალით), რომელსაც ინვესტორი მიიღებს შპს ფერი-ში კაპიტალური დაბანდებიდან აქციების გადაცემის დროს, ორივე შემთხვევაში მხოლოდ შეზღუდული ფასის გარანტიის ღირებულებით.

ინვესტორისთვის ბიზნესიდან გასვლის სამიზნე ღირებულება უნდა წარმოადგენდეს ინვესტორის მიერ ფლობილ წილს დამატებული ა) ინვესტორის კაპიტალური დაბანდება ბ) დარიცხული წლიური 17% , დაგროვებული და კაპიტალიზირებული წლიურად ინვესტორის კაპიტალური დაბანდების თანხაზე და გამოკლებული გ) ინვესტორის მიერ კომპანიისგან კაპიტალურ დაბანდებიდან მიღებულ ნებისმიერ დივიდენდზე დ) დარიცხული წლიური 17%, დაგროვებული და კაპიტალიზირებული წლიურად ასეთი დივიდენდის თანხაზე.

შეზღუდული ფასის გარანტიის ღირებულება უნდა წარმოადგენდეს ისეთ ანაზღაურებად ოდენობას რომ, როდესაც ინვესტორი მიიღებს აღნიშნულს, გაიზრდება ინვესტორის კაპიტალის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ინვესტორის სამიზნე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე, ისეთი რეალიზაციის დროს, სადაც ჩართულია შუამავალი მხარე. თუმცა, პროცენტული სხვაობა ინვესტორის სამიზნე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთსა და ინვესტორის კაპიტალის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის, რომელიც უნდა აანაზღაუროს შპს ფერმა, არ უნდა აღემატებოდეს 4%-ს.

ასოცირებული საწარმოს მიღებული სესხის გარანტორი

კომპანია არის ასოცირებული საწარმოს, შპს ენერგიას მიღებული სესხის გარანტორი. მიღებული სესხის ოდენობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 64,993 ლარს. სესხის უზრუნველყოფაში შპს ენერგიას ჩადებული აქვს ყველა ძირითადი საშუალება და საინვესტიციო ქონება, ასევე მფლობელებმა თავიანტი წილების 100% ჩადეს სესხის უზრუნველყოფაში.

ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტთან დადებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ასოცირებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს ფინანსურ კოვენანტებს სესხის ამოწურვამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასოცირებულმა საწარმომ ვერ დააკმაყოფილა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოვენანტები. ხელშეკრულების თანახმად ასეთ შემთხვევაში, გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის ერთიანად ვადამდელი დაბრუნება, თუმცაღა გამსესხებლის დასტურის საფუძველზე ხელმძღვანელობა არ მოელის ამ პირობის ამოქმედებას.

შპს ფერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციების 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ასოცირებული საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,128	60,383	-
გაცემული სესხები	2,471	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	239	-
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსავალი	130		
პირდაპირი ხარჯები	-	(923)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(112)	-
ხელფასები	-	-	(255)
საპროცენტო შემოსავლები	(180)	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელები	ასოცირებული საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	19,895	-	-
გაცემული სესხი	-	2,871	-	-
მიღებული სესხები	602	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	867	-
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება				
შემოსავალი	-	16,117	-	-
პირდაპირი ხარჯები	-	-	(2,141)	-
საპროცენტო შემოსავლები	-	319	-	-
საპროცენტო ხარჯები	(24)	-	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(112)	-
ხელფასები	-	-	-	(255)

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ფერის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფერის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც 2-ე შენიშვნაშია განმარტებული, შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის ნაწილში, 2017 წლის 16 მაისს შპს ფერმა დაკარგა კონტროლი სს ონი კასკაძე და აღრიცხა ეს ინსვესტიცია წილობრივი მეთოდით ფასს 11-ის („ერთობლივი საქმიანობა“) შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები სისრულეზე, არსებობასა და სიზუსტეზე სს ონის კასკაძის საქმიანობის შედეგებზე, რომელიც წარდგენილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნულის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა რაიმე სახის კორექტირების საჭიროება ფინანსურ ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში

ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის შედეგებზე, ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
15 ივნისი, 2018 წელი

შპს ფერი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარებში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	4	71,281	78,070
პირდაპირი ხარჯები	5	(50,674)	(49,919)
საერთო მოგება		20,607	28,151
სხვა შემოსავალი		794	869
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2,880)	(1,993)
სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები		(1,637)	(1,566)
სხვა ხარჯები	7	(5,496)	(3,148)
მოთხოვნების და გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვი	13	(355)	(253)
საოპერაციო მოგება		11,033	22,060
საპროცენტო შემოსავლები		180	319
საპროცენტო ხარჯები	8	(2,959)	(432)
მოგება შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვიდან	10	299	-
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების მოგების (ზარალის) წილი, ნეტო	10	6,641	(8,965)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		(361)	2,796
მოგება დაბეგვრამდე		14,833	15,778
მოგების გადასახადი		(285)	(676)
მთლიანი სრული შემოსავალი		14,548	15,102

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2018 წლის 15 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

_____ იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი

_____ კახაბერ მევარდნაძე

10 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.